გენდერული როლების რეპრეზენტაცია ანიმაციურ სერიალში *ბოჯეკ ჰორსმენი:* ლინგვისტური ანალიზი

გიგა პაპოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გულიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიგა პაპოშვილი

10.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის პირველი ნაწილი ანიმაციური სერიალის, *ბოჯეკ ჰორსმენის*, პირველ სეზონში არსებულ ქალსა და კაც პერსონაჟთა ჩამოსაყალიბებლად გამოყენებულ ენობრივ ატრიბუტს გაანალიზებს. კვლევითი ჩარჩო *კრიტიკულ დისკურს-ანალიზსა (კდა)* და *კორპუს ლინგვისტიკას/რაოდენობრივ ანალიზს* მოიცავს, ორივე მათგანი კი რობინ ლაკოფის *გენდერულ-ენობრივ მოდელშია* ჩართული. ამრიგად, ნაშრომი ანიმაციურ სერიალში გენდერული პორტრეტის შექმნის მიზნით გამოყენებულ ლაკოფის მიერ წარმოდგენილ (1975) კაცისა და ქალის სტერეოტიპულ ენობრივ ატრიბუტზე ფოკუსირდება. მათ შორისაა: *ორაზროვანი გამონათქვამები, განმყოფი კითხვები, უშინაარსო ზედსართავი სახელები, გადაჭარბებული თავაზიანობა, სხვის საუბარში ჩარევის ტენდენცია* და *დიალოგის დომინირება.* აღნიშნული ენობრივი ატრიბუტის ანალიზისა და შერჩეული კვლევითი ჩარჩოს საშუალებით, შეგვეძლება, რომ მედია დისკურსში სავარაუდო გენდერული იდეოლოგიის შესახებ ღირებული ინფორმაცია მივიღოთ.

კონცეპტუალური მეტაფორა, როგორც კოგნიტური პროცესი, ჩვენი რეალობის კონსტრუქციაში და მის აღქმაში აქტიურადაა ჩართული. სწორედ ამიტომ, იგი ხშირად იდეოლოგიური საზრისის მატარებელია. ამრიგად, ლაკოფისა და ჯონსონის 1980 წელს წარმოდგენილი *კონცეპტუალური მეტაფორის თეორია (კმთ)* მედია დისკურსში გენდერული იდეოლოგიის გამოაშკარავების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად არის მიჩნეული. აგრეთვე, ხაზგასასმელია *ფრეიმ ანალიზიც,* რომელიც გენდერთა გარკვეული ასპექტების წარმოჩენისა თუ შეფარვის პროცესების გამორკვევის საშუალებით, გენდერული იდეოლოგიის ნიშნების გამოაშკარავებაში დაგვეხმარება. ასევე, აღსანიშნავია კორპუს ლინგვისტიკა, რომელიც უშუალოდ კონცეპტუალური მეტაფორის იდენტიფიცირებისათვისა და თითოეული პერსონაჟის დისკურსში მეტაფორული სიხშირის რეზულტატის მისაღებად გამოიყენება, შესაბამისად, იგი თვისებრივ-რაოდენობრივი ანალიზის საწყის ეტაპს წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება კრიტიკულ

დისკურს-ანალიზს, მისი დახმარებით გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასა და გენდერულ-ძალაუფლებრივ ასიმეტრიაზე ვკონცენტრირდებით. ჯამში, ჩვენი ნაშრომი მედია დისკურსში რეპრეზენტირებულ გენდერულ როლებს, ლინგვისტური ანალიზის შედეგად, მრავალგანზომილებიანი კუთხით წარმოაჩენს.

საძიებო სიტყვები: გენდერულ-ენობრივი მოდელი, კრიტიკული დისკურს-ანალიზი, გენდერული იდეოლოგია, კონცეპტუალური მეტაფორის თეორია, ფრეიმ ანალიზი, კორპუს ლინგვისტიკა.

Abstract

The first part of this paper will analyze the linguistic attributes used to create the existing female and male characters in the first season of an animated series, *Bojack Horseman*. The research framework includes *Critical Discourse Analysis* ***(CDA)*** and Corpus Linguistics/Quantitative Analysis, which are incorporated into Robin Lakoff's gender-linguistic model, known as *the deficit model.* Thus, the paper focuses on the stereotypical linguistic attributes of man and woman presented by Lakoff (1975) in order to create a gender portrait in the animated series. These include *hedges, tag questions, empty adjectives, excessive polite expressions, a tendency to interrupt others' speech,* and *dominating the dialogues*. Through the analysis of the mentioned linguistic attributes and the selected research framework, we will be able to get valuable information about the alleged gender ideology in the media discourse.

Conceptual metaphor, as a cognitive process, is actively involved in the construction of our reality and its perception. That is why it is often described as ideological in nature. Thus, *the Conceptual Metaphor Theory* ***(CMT)*** presented by Lakoff and Johnson in 1980 is considered one of the best ways to reveal gender ideology in media discourse. *The Frame Analysis* should also be emphasized as it will help us to reveal the signs of gender ideology by identifying the processes of presenting or concealing/hiding certain aspects of gender. It is also worth noting that Corpus Linguistics is heavily used throughout the analyzing process in order to facilitate the identification process of conceptual metaphors and quantifying their frequency within the discourse of each character. Therefore, Corpus Linguistics represents the initial stage of qualitative-quantitative analysis. Finally, as for the Critical Discourse Analysis, while analyzing the results it focuses on gender-based discrimination and gender-power asymmetry. In sum, as a result of an in-depth linguistic analysis, our paper analyzes the gender roles representation in media discourse from a multidimensional point of view.

Key words: The deficit model, critical discourse analysis, gender ideology, conceptual metaphor theory, frame analysis, corpus linguistics.